

**2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების
კონკურსის პირობები**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსის (შემდგომში - კონკურსის) მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა; წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარების გამოვლენა, მათი სადოქტორო კვლევების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში განხორციელების ხელშეწყობით საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხარისხის ზრდა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირება; საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესება, სადოქტორო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება.

2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსში პროექტების წარდგენა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანების პირველი მუხლის მესამე პუნქტში აღნიშნული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად. ამ მიმართულებებს კონკურსის სამეცნიერო კლასიფიკატორის (დანართი 12) მიხედვით მიენიჭა შემდეგი კოდები:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
4. აგრარული მეცნიერებები;
5. სოციალური მეცნიერებები;
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები;
7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

3. კონკურსის ფარგლებში გაიცემა მხოლოდ ინდივიდუალური სასწავლო-კვლევითი გრანტები.

4. გრანტის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით.

5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის №128/ნ ბრძანებით დადგენილი წესითა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. კონკურსის მონაწილე დოქტორანტს უნდა ჰყავდეს დისერტაციის ხელმძღვანელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობს დოქტორანტის სადოქტორო-კვლევით პროექტს.
3. კონკურსის მონაწილე დოქტორანტს შესაძლოა ჰყავდეს:
 - ა) დისერტაციის თანახელმძღვანელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც კონსულტაციას გაუწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებისას.
 - ბ) კონსულტანტი - საქართველოს, ან უცხო ქვეყნის მოქალაქე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც კონსულტაციას გაუწევს დოქტორანტს კვლევასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე.
4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში დოქტორანტს შეუძლია მხოლოდ ერთი საკონკურსო განაცხადის წარდგენა.
5. დოქტორანტს, რომელიც არის 2014-2017 წლებში გამოცხადებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული, არ აქვს 2018 წლის ამავე საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება.
6. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და/ან სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსისათვის წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს მინიმუმ 6 თვე და მაქსიმუმ 36 თვე. თითოეული საანგარიშო პერიოდი უნდა შეადგენდეს 6 თვეს.
2. პროექტი უნდა იწყებოდეს არა უგვიანეს 2018 წლის 1 ნოემბრისა.
3. თითოეული საანგარიშო პერიოდისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს **10 500 ლარს**.
4. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება და პროექტის ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს დოქტორანტის სტუდენტურ სტატუსს და სასწავლო სემესტრს შემდეგი სქემის შესაბამისად:

| აქტიური სტუდენტური სტატუსის მქონე დოქტორანტისათვის, რომლისთვისაც მიმდინარეობს | შეჩერებული სტუდენტური სტატუსის მქონე დოქტორანტისათვის, რომელსაც დასრულებული აქვს | პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა | ფონდიდან მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა |
|-------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------|---------------------------------------|
| --- | წული სემესტრი | 36 თვე | 63 000 ლარი |
| პირველი სემესტრი | ერთი სემესტრი | 30 თვე | 52 500 ლარი |
| მეორე სემესტრი | ორი სემესტრი | 24 თვე | 42 000 ლარი |
| მესამე სემესტრი | სამი სემესტრი | 18 თვე | 31 500 ლარი |
| მეოთხე სემესტრი | ოთხი სემესტრი | 12 თვე | 21 000 ლარი |
| მეხუთე ან მეტი სემესტრი | ხუთი ან მეტი სემესტრი | 6 თვე | 10 500 ლარი |

2. პროექტის ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:
 - ა) **დოქტორანტის სტიპენდიას** – ერთი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სტიპენდია არ უნდა აღემატებოდეს 5250 ლარს.
 - ბ) **სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების ან/და სხვა სახეის საშუალებების ხარჯს** – შეიძლება ითვალისწინებდეს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკის,

ლაბორატორიული ჭურჭლისა და სახარჯი მასალების შეძენის ხარჯებს, ექსპედიციის/საველე სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯებს (გარდა დღიური ხარჯებისა).

გ) **პროექტის მიზნებისათვის დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში** (კონფერენცია, კონგრესი, ვორქშოფი, სემინარი და სხვა) **მონაწილეობის ხარჯს** – აღნიშნული კატეგორია მოიცავს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინების დროს მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის დაქირავების, დღიური ანაზღაურების ხარჯებს, ქვეყნის გარეთ მივლინებისათვის სავალდებულო სამოგზაურო დაზღვევის ხარჯებს, პასპორტის ღირებულებისა და მივლინებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ვიზის) გაფორმებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯებს (მაგალითად, ვიზის მოსაკრებელი, ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი საკონსულოს არ არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის გაგზავნასთან და მიღებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯებს), აგრეთვე, სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯებს (მაგალითად, კონფერენციაში მონაწილეობის სარეგისტრაციო გადასახადს). პროექტის მიზნებისათვის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯი ანაზღაურდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებით დადგენილი სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართის დაქირავების/სასტუმროს ხარჯების ნორმების შესაბამისად.

დ) **დისერტაციის მიზნებისათვის დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯებს** – 12-36 თვიანი პროექტების შემთხვევაში დოქტორანტის უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 6 თვეს, ხოლო 6 თვიანი პროექტების შემთხვევაში - წელიწადში 3 თვეს. დოქტორანტურის საერთაშორისო ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, შესაძლებელია კვლევითი ვიზიტის ხანგრძლივობა წელიწადში 12 თვეს შეადგენდეს. უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტის პერიოდისათვის დოქტორანტის ყოველთვიური დაფინანსების ოდენობა განსაზღვრულია **დანართი 13-ით** (დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსში გამარჯვებული დოქტორანტის უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტის დროს ყოველთვიური დაფინანსების ნორმები ქვეყნების კატეგორიების მიხედვით). თუ უცხოეთში დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტი გრძელდება არასრული თვე (12 და მეტი დღის ხანგრძლივობით), ყოველთვიური დაფინანსება დაიანგარიშება პროპორციულად. 12 დღემდე ხანგრძლივობის ვიზიტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებით დადგენილი ლიმიტებით.

ე) **სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის საჭირო სხვა ხარჯებს** – შეიძლება ითვალისწინებდეს დოქტორანტურაში სწავლის საფასურს (საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის ჩათვლით), ბეჭდური/ელექტრონული ლიტერატურის და კომპიუტერული პროგრამის შეძენის ხარჯს, პუბლიკაციის გამოქვეყნებასთან და პატენტის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, საკანცელარიო, ქვეყნის შიგნით სამივლინებო და სხვა ისეთ ხარჯებს, რომლებიც არ არ არის გათვალისწინებული ამ პუნქტის ა-დ ქვეპუნქტებით.

6. პროექტს შეიძლება ჰქონდეს თანადაფინანსება (დამატებითი ფინანსური წყარო), რომელიც ნაწილობრივ დაფარავს პროექტის საერთო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ნაწილს.
7. სასწავლო-კვლევითი გრანტით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, იჯარა, კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ავტომანქანის, მობილური ტელეფონის, პლანშეტური კომპიუტერის შეძენა, დამხმარე პერსონალის დაქირავება, სხვა ფიზიკური პირისათვის შრომის ანაზღაურების გადახდა.
8. პროექტის ფარგლებში შესაძენი ლეპტოპის/ნოუტბუქის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1250 ლარს.
9. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტები

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი პროექტის დოკუმენტაცია მოიცავს შემდეგ ჩამონათვალს:
 - ა) პროექტის თავფურცელი (დანართი 2, ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში, GMUS-ში [Grants Management Unified System] პროექტის რეგისტრაციის დროს).
 - ბ) საპროექტო წინადადება (დანართი 3, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით).

გ) დოქტორანტის, დისერტაციის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელისა და კონსულტანტის (მათი არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები (CV) – აღნიშნული პირები რეგისტრირდებიან GMUS-ში და მათ მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება, ექსპორტირდება CV და დოქტორანტის მიერ იტვირთება PDF დოკუმენტის სახით პროექტის წარდგენისას (დანართი 4).

დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი 5, იტვირთება GMUS-ში Excel-ის დოკუმენტის სახით).

ე) პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (დანართი 6, ივსება GMUS-ში).

ვ) უცხოელი კონსულტანტის და უცხოელი თანახელმძღვანელის (მათი არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი – Letter of personal commitment (დანართი 7) ინგლისურად და თანხმობის წერილის თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ქართული თარგმანი (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით).

თ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი თანხის მითითებით, დადასტურებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ ცნობა გაცემულია უცხოურ ენაზე, ორიგინალს თან უნდა დაერთოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული შესაბამისი ქართული თარგმანი (დანართი 8, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით).

ი) ცნობა დოქტორანტურის აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტის სწავლის შესახებ. ცნობაში სავალდებულოა მითითება: სადოქტორო პროგრამის სახელწოდების, ჩარიცხვის თარიღის, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დისერტაციის ხელმძღვანელის (საბჭოს მიერ დამტკიცებული ან სავარაუდო), თანახელმძღვანელის (საბჭოს მიერ დამტკიცებული ან სავარაუდო, ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელები და აკადემიური ხარისხი, სადისერტაციო თეზისის სავარაუდო სახელწოდება, დოქტორანტის ამჟამინდელი სტატუსი (აქტიური/შეჩერებული) და ამჟამინდელი სასწავლო სემესტრი. ასევე დოქტორანტის ტრანსკრიპტი/ნიშნების ფურცელი (სწავლების სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე-ასეთის არსებობის შემთხვევაში). ცნობა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ფაკულტეტის/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. ცნობა გაცემული უნდა იყოს კონკურსის გამოცხადების შემდეგ (დანართი 9, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით).

კ) თანხმობის წერილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და ასევე სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პროექტით გათვალისწინებული კვლევისათვის გამოყენების შესახებ (დანართი 10, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით).

ხ) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 11, გენერირდება GMUS-ით).

2. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) მიზნობრივი საბანკო ანგარიშის (ლარის) რეკვიზიტები, რომელზეც განხორციელდება მხოლოდ პროექტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციები და არ დაირიცხება სხვა სარგებელი;

ბ) ცნობა 2018 წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები (გარდა „ზ“ ქვეპუნქტისა) წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე.

4. დოკუმენტს, რომლის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია, თან ახლდეს შესაბამისი ქართული თარგმანი, რომელიც დამოწმებული იქნება თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება 2 ეტაპად:

ა) პროექტის რეგისტრაცია ელექტრონულ ბაზაში <http://gmus.rustaveli.org.ge>- 2018 წლის 1 ივნისიდან - 20 ივნისის 16:00 საათამდე;

ბ) რეგისტრაცია ფონდის კანცელარიაში - კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა ფონდის კანცელარიაში 2018 წლის 21 ივნისის 16:00 საათამდე.

2. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისათვის სავალდებულოა ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში

(GMUS-ში) დარეგისტრირებულნი იყვნენ პროექტში ჩართული იურიდიული და ფიზიკური პირები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც ჩარიცხულია კონკურსის მონაწილე დოქტორანტი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სხვა იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც უზრუნველყოფს კონკურსის მონაწილე დოქტორანტს კვლევის პროცესის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თანადამფინანსებელი ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დისერტაციის ხელმძღვანელი, დისერტაციის თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თანადამფინანსებელი ფიზიკური პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ა) პროექტში ჩართული იურიდიული პირების რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტებია: სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, წესდება/დებულება. თუ იურიდიული პირი არ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ასევე საჭიროა ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრიდან (გაცემული 2018 წელს).

ბ) პროექტში ჩართული ფიზიკური პირების (დოქტორანტი, დისერტაციის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, კონსულტანტი) რეგისტრაციისთვის საჭიროა ბიოგრაფიული მონაცემების შევსება და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ატვირთვა GMUS-ში. თანადამფინანსებელი ფიზიკური პირი ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციისას ირჩევს „თანადამფინანსებელი ორგანიზაციის“ ბლოკს და ორგანიზაციის სტატუსის ველში ირჩევს „სხვა“ - ს. თითოეული პირი პასუხისმგებელია წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე.

3. პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია გულისხმობს კონკურსის პირობების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსებასა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის ატვირთვას GMUS-ის შესაბამის ველებში.

4. **ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპზე** ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი უნდა იყოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ხელმოწერებით, შესაბამისი ფაულტეტის/სკოლის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდით დამოწმებული „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (რომელიც დაგენერირდება კონკურსის ელექტრონული ბაზიდან).

5. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით წარმოდგენილია „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“.

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის განრიგი და ვადები:

ა) 2018 წლის 5 აპრილი – კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;

ბ) 24 აპრილი, 24 მაისი და 12 ივნისი – ჯგუფური კონსულტაციები;

გ) 14 ივნისი – ელექტრონულ ფოსტაზე შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა;

დ) 1 ივნისიდან 20 ივნისის 16:00 სთ-მდე – პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია GMUS-ში;

ე) 21 ივნისის 16:00 სთ-მდე – კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა ფონდის კანცელარიაში

ვ) ივნისი-ივლისი - ტექნიკური ექსპერტიზა - რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ზ) ივლისი - შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ;

თ) ივლისი-აგვისტო - კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება, ერთიანი რანჟირებული სიის შედგენა და გამარჯვებულთა გამოვლენა;

ი) აგვისტო-სექტემბერი – გამარჯვებული პროექტ(ებ)ის დასაფინანსებლად დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

კ) სექტემბერი - კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;

ლ) სექტემბერი-ოქტომბერი – გამარჯვებულ დოქტორანტებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზას, რომლის ფარგლებში შემოწმდება წინამდებარე პირობების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან.
3. ფონდი უფლებამოსილია ტექნიკური ექსპერტიზის საფუძველზე დაადგინოს ხარვეზი და იმოქმედოს კანონის შესაბამისად.
4. ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, წარმოდგენილია არასრულად ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. კონკურსში მონაწილე პროექტები შეფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანების მე-9 და მე-10 მუხლებით დადგენილი წესებით.
2. დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან და/ან ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის წევრებისგან მიღებული შეფასებების საფუძველზე, ფონდის გენერალური დირექტორი ამტკიცებს პროექტის საბოლოო ქულის დაანგარიშების წესს, პროექტების რანჟირებულ სიებს, გამოავლენს საუკეთესო პროექტებს და ამტკიცებს გამარჯვებულებს.
3. ფონდის მიერ კონკურსისთვის გამოყოფილი თანხის 10 % განსაზღვრულია „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ მიმართულებაში წარმოდგენილ საუკეთესო პროექტებისთვის. საერთო ბიუჯეტის დარჩენილი 90% განაწილდება 6 სამეცნიერო მიმართულებაზე (1-6 სამეცნიერო მიმართულებები) ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად.
4. თითოეული მიმართულებისათვის განსაზღვრული თანხიდან ნაშთის დარჩენის შემთხვევაში, ჯამური ნაშთი მოხმარდება დაფინანსების გარეშე დარჩენილ უმაღლეს ქულიან პროექტებს ერთიანი რანჟირებული სიიდან, რომლებიც შეფასებულია 18 ან მეტი ქულით (მიმართულებების გაუთვალისწინებლად).
5. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, ფონდი უზრუნველყოფს დოქტორანტებისათვის პროექტის შესახებ ექსპერტთა და/ან ექსპერტთა ჯგუფების მიერ გაკეთებული დასკვნების გაცნობას.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას კონკურსში გამარჯვებულ დოქტორანტებთან და შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელშიც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა დეტალური პირობები.
2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება დოქტორანტებთან, რომლებიც წარმოადგენენ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.
3. საგრანტო ხელშეკრულება პროექტის განხორციელების სხვა პირობებთან ერთად ითვალისწინებს პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების უფლებით სარგებლობას გრანტის მიმღებსა და გრანტის გამცემს შორის ქვეყანაში მოქმედი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.
4. საგრანტო ხელშეკრულება ფორმდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესების დაცვით.

მუხლი 9. ანგარიშგება და მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 10 კალენდარული

დღის ვადაში ფონდში წარმოადგინოს პროექტის განხორციელების ანგარიში გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

2. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფონდი ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დადგენილი წესით, რომლის დროსაც ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ადგენს შესაბამის განხილვის აქტებს.

3. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი შუალედური ანგარიშის განხილვის აქტის საფუძველზე ფონდი ავანსის სახით გადარიცხავს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს.

4. ფონდს არ აქვს ვალდებულება მონიტორინგი განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკით.

5. ფონდი უფლებამოსილია შეაფასოს მიმდინარე პროექტების განხორციელების პროცესი, მიმდინარე და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულება და ეფექტიანობა დარგის ექსპერტის მონაწილეობით. შუალედური/საბოლოო ანგარიშების შემოწმების საფუძველზე მომზადებული განხილვის აქტები ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ შემდგომში საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასების პროცესში.

6. ფონდი უფლებამოსილია აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი - ე.წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანების მე-13 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გამარჯვებული დოქტორანტების მიმართ

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ინდივიდუალური სასწავლო-კვლევითი გრანტის მიმღები დოქტორანტი, რომელიც არის ფონდის მიერ დაფინანსებული 2016 წლის სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო პროექტის ძირითადი პერსონალი, ვეღარ ისარგებლებს აღნიშნული ინსტიტუციური გრანტით გათვალისწინებული სტიპენდიით და ვალდებულია აცნობოს პროექტის ხელმძღვანელს ამის შესახებ.

2. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგები მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის სახით გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში, ან წარმოადგინოს ცნობა ასეთი სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, საკონფერენციო კრებულები და წიგნები, რომლებიც ინდექსირებულია: [Scimago Journal Ranking](#), [Scopus](#), [Web of Science](#), [ERIH plus](#) - ში, ასევე, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გამოცემული საერთაშორისო რეფერირებადი და ციტირებადი ჟურნალები: Transactions of A. Razmadze Mathematical Institute (ა. რაზმაძის მათემატიკური ინსტიტუტის ნაშრომები) და Annals of Agrarian Science (აგრარულ მეცნიერებათა მემატიანე).

3. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში სავალდებულოა მითითებული იყოს შემდეგი ჩანაწერი: „კვლევა [გრანტის ნომერი] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით“ / „This research [grant number] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)“. ასეთი ჩანაწერის გარეშე გამოქვეყნებული პუბლიკაცია ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას არ განიხილება. ერთ სტატიაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.

4. გრანტის სახსრებით შექმნილ პროდუქციაზე (ნაბეჭდო, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგოს განთავსება და ჩანაწერი: „კვლევა [გრანტის ნომერი] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული

სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით”/ „This research [grant number] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)“.

5. პროექტის ფარგლებში შესრულებული სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა იყოს ღიად ხელმისაწვდომი.

6. ფონდი იტოვებს უფლებას გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები და ვებგვერდის მისამართი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.